ოქმი:**ო37. 3723324001**

თარიღი:**20/11/2023**

ოქმი N23

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 16 ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა,

გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე, ქ. ხომერიკი, პ.კიღურაძე, მ. ჩხიკვიშვილი, დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალში მდებარე მე-60 ქუჩის 1 ჩიხისათვის სახელის გადარქმევის და ,,სერის ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

2. ,, ქალაქ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩისათვის სახელის გადარქმევის და „ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

ამ საკითხის განხილვისას გამოითქვა აზრი, რომ ქუჩას მიენიჭოს „ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ქუჩა“ და არა „ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩა“.

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

დაეწერა განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

დაეწერა განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

დაეწერა განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დარგობრივ კომისიებს: (გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე და ფრაქციებს: (მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე).

გადაწყვიტეს:

1.ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1,2 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.N 3,4 საკითხი დაეწეროს განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

3.N 5 საკითხი დაეწეროს განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დარგობრივ კომისიებს: (გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე და ფრაქციებს: (მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე).

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი